

ისტორია X კლასის პროგრამა

1. **ჩვენ და ისტორია:**
ისტორიის საგანი (რას შეისწავლის ისტორია?); პროფესია - ისტორიკოსი
2. **ისტორიის ქრონოლოგია**
ა) კალენდარი (დასავლური და აღმოსავლური კალენდრები - იულიუსის, გრიგორიანული, მუსლიმური, ომარ-ხაიამის)
ბ) წელთაღრიცხვის სისტემები (ერა, ქორონიკონი, ჰიჯრა)
3. **ისტორიის პერიოდიზაცია:**
ა) ისტორიის პერიოდიზაციის სათავეებთან
ბ) პერიოდიზაციის პტოლემეაიოსის სისტემა
გ) მსოფლიო ისტორიის სამწევროვანი დაყოფა
დ) მარქსიზმი და ისტორიის პერიოდიზაცია
ე) ისტორიის პერიოდიზაცია ცივილიზაციების მიხედვით
ვ) საქართველოს ისტორიის პერიოდიზაცია
4. **ისტორია და ისტორიის დარგები (ქართული და უცხოური მასალების საფუძველზე):**
ა) წყაროთმცოდნეობა (რა არის ისტორიული წყარო? საისტორიო წყაროების კლასიფიკაცია; კვლევის მეთოდოლოგია (წარსულის რეკონსტრუქცია ისტორიული წყაროების საშუალებით); წყაროები: დოკუმენტური და ნარატიული
2) არქეოლოგია
3) ეთნოლოგია/ეთნოგრაფია
4) ისტორიული გეოგრაფია/ისტორიული კარტოგრაფია
5) ნუმისმატიკა და ბონისტიკა
6) ჰერალდიკა და გენეალოგია
7) ისტორია და ინფორმატიკა
5. **ისტორიული მეცნიერების ისტორია (ისტორიოგრაფია):**
ა) ძველბერძნული ისტორიოგრაფია: ჰეროდოტე, თუკიდიდე, ქსენოფონტე; პოლიბიოსი - პირველი მსოფლიო ისტორიის შექმნის მცდელობა; სტრაბონი - ისტორიისა და გეოგრაფიის სინთეზი
ბ) რომაული ისტორიოგრაფია: იულიუს კეისარი, ტიტუს ლივიუსი, კორნელიუს ტაციტუსი; პლუტარქე და სვეტონიუსი - ბიოგრაფიული თხზულებანი; ამიანე მარცელინე
გ) ბიზანტიური ისტორიოგრაფია: ევსები კესარიელი - „საეკლესიო ისტორია“ და გელასი კესარიელი; პროკოპი კესარიელი და აგათია სქოლასტიკოსი; კონსტანტინე პორფიროგენეტი - გვირგვინოსანი ისტორიკოსი, ანა კომნინა, მიქაელ პანარეტოსი;
დ) სომხური ისტორიოგრაფია: შუა საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფია
ე) ქართული ისტორიოგრაფია: რა არის „ქართლის ცხოვრება“, ძველი და ახალი ციკლის „ქართლის ცხოვრება“; ვახუშტი ბაგრატიონი; გვიანი შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსები (ფარსადან გორგიჯანიძე, პაპუნა ორბელიანი, ომან ხერხეულიძე); ქართული ისტორიოგრაფია XIX-XX საუკუნეებში

გ) შუა საუკუნეებისა და აღორძინების პერიოდის ისტორიული აზრი: შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული ისტორიოგრაფია (გრიგოლ ტურელი, ბედა პატივდებული, ეინჰარდი. . .); არაბი და სპარსი ისტორიკოსები (იბნ ხალდუნი, ტაბარი, ალ-ფარიკი); ლორენცო ვალა, მაკიაველი; ფრენსის ბეკონი, ჟან ბოდენი

ზ) ძველი მოგზაურების ჩანაწერები: ქართველი მოგზაურები (ჩახრუხაძე, რაფიელ დანიბეგაშვილი); პლანო კარპინი, მარკო პოლო; იბნ-ბატუტა; კასტელი, შარდენი, გიულდენშტენდტი

თ) განმანათლებლობის პერიოდის ისტორიული აზრი: ჯამბატისტა ვიკო, ვოლტერი, მონტესკიე; იუმი

ი) ისტორიული აზრი XIX საუკუნეში: თეოდორ მომზენი - ნობელიანტი ისტორიკოსი; ლეოპოლდ ფონ რანკე, იპოლიტ ტენი; პოზიტივისტები

კ) ისტორიული აზრი XX საუკუნეში: ბენედიტო კროჩე - ისტორიის თეორეტიკოსი; რობინ კოლინგვუდი - „ისტორიის იდეა“; ანალების სკოლა

6. როგორ ვსწავლობთ ისტორიას:

ა) პირველადი და მეორადი წყაროები

ბ) წერილობითი წყაროების კრიტიკა/ინტერპრეტაცია